



# საქართველო

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



### დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16  
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 32

30 მარტი 2021 წელი

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

#### მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 29/12/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.108.016470) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დაგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 51<sup>3</sup>-ე, 53<sup>3</sup>-ე, 52-ე, 55-ე, 55<sup>2</sup>-ე, 55<sup>3</sup>-ე, 77<sup>1</sup>-77<sup>2</sup>-ე, 82<sup>3</sup>-ე, 103-ე, 119<sup>1</sup>-ე, 125-ე მუხლის მე-8 პუნქტით, 125-ე მუხლის მე-16 პუნქტით, 125<sup>4</sup>-ე, 135-ე, 135<sup>1</sup>-ე, 150-ე, 150<sup>1</sup>-ე, 152-ე, 152<sup>2</sup>-ე, 153<sup>4</sup>-ე, 159-ე, 159<sup>1</sup>-ე მუხლებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77<sup>1</sup>-77<sup>2</sup>-ე, 103-ე, 119<sup>1</sup>-ე, 135-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას;“.

#### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ რუსია